ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N40

სარეკლამო კონსტრუქციის იჯარის მომსახურების შესახებ

ქ. თბილისი
11 დეკემბერი 2019 წ.

1. ხელშეკრულების მხარეები

<u>დამკვეთი</u>:

სახელწოდება:	-ა(ა)იპ წყალტუბოს მინიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი
საიდენტიფიკაციო კოდი (ს/კ):	-421274515
იურიდიული მისამართი:	-წყალტუბო, შოთა რუსთაველის ქ. №39ა
ფაქტობრივი მისამართი:	-წყალტუბო, შოთა რუსთაველის ქ. №39ა
დირექტორი:	-სალომე ქუთათელაძე

<u>საკონტაქტო ინფორმაცია:</u>

კომპანიის ტელეფონი:	- +995 436 22 46 76
კომპანიის ელ. ფოსტა:	- tskaltubo.centertourism@gmail.com
საკონტაქტო პირი:	- სალომე ქუთათელაძე
საკონტაქტო პირის ტელეფონი:	+995 591 44 60 94
საკონტაქტო პირის ელ.ფოსტა:	

<u>საბანკო რეკვიზიტები:</u>

ბანკი:	- სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი:	- 050208
ანგარიშის ნომერი:	

<u>შემსრულებელი</u>:

სახელწოდება:	შპს "ალმა"
საიდენტიფიკაციო კოდი (ს/კ):	204873388
იურიდიული მისამართი:	ქ. თბილისი, ვანის 6
ფაქტობრივი მისამართი:	ქ. თბილისი, კოსტავას 46/50
დირექტორი:	გიორგი ტრაპაიძე

<u>საკონტაქტო ინფორმაცია:</u>

კომპანიის ტელეფონი:	(995 32) 2220057
კომპანიის ელ. ფოსტა:	info@alma.ge
საკონტაქტო პირი:	-გიორგი ბოლქვაძე
საკონტაქტო პირის ტელეფონი:	-595 522 572
საკონტაქტო პირის ელ.ფოსტა:	-G.bolkvadze@alma.ge

<u>საბანკო რეკვიზიტები:</u>

ბანკი:	სს "საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი:	BAGAGE22
ანგარიშის ნომერი:	GE 20 BG00 0000 0361 5728 00

2. ტერმინთა განმარტებები

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისათვის ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

2.1.1. სარეკლამო კონსტრუქცია – შემსრულებლის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული სპეციალური მოწყობილობა (მათ შორის ბილბორდი, ტრივიუენი, ლაითბოქსი, ნეთვორქი, მოდულაიტი, ფარი, ე.წ. „ხიდი", მოსაცდელი და სხვა), რომელიც გამიზნულია დამკვეთის მასალის განსათავსებლად;

2.1.2. სარეკლამო მასალა – დამკვეთის ან/და შემსრულებლის მიერ დამზადებული მასალა (ქაღალდი, ფირი, სტიკერი, ბანერი და სხვა), რომელზეც გამოსახულია დამკვეთის მიერ მითითებული ინფორმაცია ტექსტის ან/და გრაფიკული გამოსახულების სახით;

2.1.3. სამუშაო/საბანკო დღე – კალენდარული დღე, გარდა, შაბათის, კვირისა და საქართველოს შრომის კოდექსით განსაზღვრული უქმე დღეებისა;

2.1.4. სრული საანგარიშო (საოპერაციო) თვე – დროის მონაკვეთი კალენდარული თვის პირველი რიცხვიდან თვის ბოლო რიცხვის ჩათვლით, რომლის განმავლობაშიც ხორციელდება სარეკლამო მომსახურება;

2.1.5. არასრული საანგარიშო (საოპერაციო) თვე – სრული კალენდარული თვის ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც ხორციელდება სარეკლამო მომსახურება. არასრული თვის მომსახურების ღირებულების კალკულაციისას იგულისხმება, რომ თვე მოიცავს 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეს.

3. ხელშეკრულების საგანი

3.1. წინამდებარე ხელშეკრულებით შემსრულებელი იღებს ვალდებულებას დამკვეთის მასალა განათავსოს მის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ სარეკლამო კონსტრუქციაზე, ხოლო დამკვეთი იღებს ვალდებულებას გაწეული მომსახურების სანაცვლოდ გადაუხადოს შემსრულებელს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების ღირებულება.

3.2. განთავსების მომსახურებაზე გაფორმდება დანართი № 1, რომლითაც განისაზღვრება მომსახურების პირობები (სარეკლამო კონსტრუქციის მდებარეობა, სარეკლამო კონსტრუქციების რაოდენობა, გვერდების რაოდენობა ზომა, სარეკლამო მომსახურების ვადა) და ღირებულებები.

3.3. ხელშეკრულებით შეთანხმებულია შემდეგი სარეკლამო იმიჯის განთავსება „ბანერი საახალწლო მილოცვით".

3.4. სარეკლამო ზედაპირის ცვლილებაზე მხარეები თანხმდებიან დამატებით.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1. შემსრულებელი ვალდებულია:

4.1.1. სარეკლამო კონსტრუქციაზე განათავსოს ბანერი ხელშეკრულებით შეთანხმებული პირობებით;

4.1.2. შემსრულებლის მიზეზით სარეკლამო კონსტრუქციის დაზიანების შემთხვევაში (გარდა ფორს-მაჟორული გარემოებებისა) დაზიანების გამოვლენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში უზრუნველყოს დაზიანებული სარეკლამო კონსტრუქციის აღდგენა და მისი პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა;

4.1.3. სარეკლამო კონსტრუქციაზე განთავსებული დამკვეთის მასალის დაზიანების ან მოპარვის გამოვლენის შემთხვევაში ამ გარემოების შეტყობიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში აცნობოს დამკვეთს;

4.2. შემსრულებელი უფლებამოსილია:

4.2.1. დამკვეთისგან მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით ნაკისრ ვალდებულებათა ჯეროვანი შესრულება;

4.2.2. მოსთხოვოს დამკვეთს ხელშეკრულების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება;

4.2.3. დამკვეთის მიერ სარეკლამო კონსტრუქციის იჯარის მომსახურების ღირებულების 10 (ათი) დღეზე მეტი ხნით გადაცილების შემთხვევაში, შეაჩეროს მომსახურება ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, ამასთან დამკვეთს დაეკისრება როგორც მომსახურების შეჩერების გამო შემსრულებლის მიერ გაწეული ხარჯის ანაზღაურება (სარეკლამო მასალის დემონტაჟი-მონტაჟის ღირებულება და ა.შ.), ასევე ზიანის სახით დაეკისრება მოცდენილ პერიოდზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყოველთვიური სარეკლამო კონსტრუქციის იჯარის ღირებულების გადახდა. ამასთან, მომსახურების შეჩერების პერიოდი შედის ხელშეკრულების საერთო ვადაში და მომსახურების ვადა არ დაკორექტირდება. შემსრულებელი თავისუფლდება მომსახურების შეჩერების გამო გამოწვეული ყველა შესაძლო პასუხისმგებლობისგან. შეჩერებული მომსახურება განახლდება დამკვეთის მიერ დავალიანების სრულად დაფარვის შემდეგ.

4.2.4. თუ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში საქართველოს პარლამენტის ან/და სხვა კომპეტენტური ორგანოს მიერ შემოღებული იქნება რაიმე სახის შეზღუდვა ან/და აკრძალვახელშეკრულებით წინასწარ შეთანხმებულ ტერიტორიაზე სარეკლამო ზედაპირის განთავსების შეუსაბამობასთან დაკავშირებით, შემსრულებელი უფლებამოსილი იქნება დაუყოვნებლივ(დამკვეთისაგან დამატებითი თანხმობის გარეშე) განახორციელოს სარეკლამო ზედაპირის დემონტაჟი და დამკვეთს შესთავაზოს იმ დროისათვის არსებული თავისუფალი სარეკლამოკონსტრუქციებიდან ალტერნატიული ადგილი სარეკლამო ზედაპირის განსათავსებლად, თუკი აღნიშნული სარეკლამო მასალა აკმაყოფილებს ზემოაღნიშნული ორგანოს მიერ დადგენილშეზღუდვა ან/და აკრძალვას,ან/და შეწყვიტოს აღნიშნული მომსახურების ხელშეკრულება დამკვეთის მიმართ ყოველგვარი დამატებითი პასუხისმგებლობის გარეშე.

4.3. დამკვეთი ვალდებულია:

4.3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით განახორციელოს სარეკლამო კონსტრუქციის იჯარა-მონტაჟის მომსახურების ღირებულების გადახდა;

4.3.2. გონივრულ ვადაში გადასცეს შემსრულებელს სარეკლამო კონსტრუქციაზე განსათავსებელი მასალა ელექტრონული ან მატერიალური ფორმით;

4.3.3. უზრუნველყოს მოპარული ან/და დაზიანებული სარეკლამო მასალის ნაცვლად ახალი სარეკლამო მასალის დაბეჭდვა და მიწოდება ან სარეკლამო მასალის დიზაინის მიწოდება ელექტრონული ფორმით და ბეჭდვის ღირებულების ანაზღაურება;

4.3.4. 4.3.2.-4.3.3. პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში დამკვეთი არ თავისუფლდება სარეკლამო მომსახურების იმ პერიოდის ღირებულების გადახდისაგან, რა პერიოდითაც მასალა არ იყო განთავსებული სარეკლამო კონსტრუქციაზე

4.3.5. უზრუნველყოს სარეკლამო კონსტრუქციაზე განთავსებული ინფორმაციის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან. ამ ვალდებულების შეუსრულებლობიდან გამომდინარე ყველა სახის პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს;

4.3.6. მიიღოს გაწეული მომსახურება და შესაბამისად დაადასტუროს გაწეულ მომსახურებაზე გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა ანგარიშ-ფაქტურის გამოწერიდან 3 დღის ვადაში.

4.4. დამკვეთი უფლებამოსილია:

4.4.1. შემსრულებლისგან მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა ჯეროვანი შესრულება.

4.4.2. მოსთხოვოს შემსრულებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

4.4.3. მომსახურების ვადის ამოწურვიდან 2 კვირის ვადაში წერილობით მოითხოვოს ჩამოხსნილი სარეკლამო კონსტრუქციაზე განთავსებული მასალის გადაცემა. აღნიშნული ვადის გასვლის შემდგომ შემსრულებელი არ არის ვალდებული შეინახოს ჩამოხსნილი მასალა.

5. სახელშეკრულებო ღირებულება და ანგარიშსწორების პირობები

5.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულებები განისაზღვრება ხელშეკრულების დანართ № 1-ში;

5.2. ანგარიშსწორება განხორციელდება დანართ № 2-ში მოცემული გადახდის გრაფიკის შესაბამისად, ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით;

5.3. იმ შემთხვევაში თუ დამკვეთი 3 (სამი) დღის ვადაში არ დაადასტურებს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას ან არ წარმოადგენს დასაბუთებულ პრეტენზიას შესაბამისი მტკიცებულებებით, მომსახურება შემსრულებლის მხრიდან ჩაითვლება გაწეულად დამკვეთის თანხმობის გარეშეც და დამკვეთი არ არის უფლებამოსილი გაწეულ მომსახურებაზე წარადგინოს პრეტენზია.

5.4. გარდა წინამდებარე ხელშეკრულების 5.3. პუნქტით გათვალისწინებულისა, დავის შემთხვევაში შემსრულებელმა მომსახურების გაწევა დამატებით შეიძლება დაადასტუროს როგორც ინვოისის, ანგარიშ-ფაქტურის ან/და მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერით, ისე ფაქტობრივი შესრულებით.

5.5. შეცვლის მომსახურების ღირებულების გადახდა განხორციელდება შესაბამისი დანართის გაფორმებიდან ან ანგარიშ-ფაქტურის გამოწერიდან 3 (სამი) დღის ვადაში;

5.6. მხარეები თანხმდებიან იმის თაობაზე, რომ შემსრულებელი უფლებამოსილია ცალმხრივად გაზარდოს მომსახურების ღირებულება, სახელმწიფო ან/და ადგილობრივი მუნიციპალური ორგანოების მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურებაზე დაბეგვრის განაკვეთების გაზრდის შემთხვევაში.

5.7. საქალაქო ტრანსპორტის მოსაცდელის კონსტრუქციის ტიპის ცვლილების შემთხვევაში, განხორციელდება საიჯარო ღირებულების ცვლილება, რის შესახებაც შემსრულებელი აცნობებს დამკვეთს. შეტყობინებიდან 5 დღის ვადაში დამკვეთი ვალდებულია აცნობოს პასუხი შემსრულებელს შეცვლილ საფასურთან დაკავშირებით და უარის შემთხვევაში ხელშეკრულება შეწყდება შეცვლილი კონსტრუქციის იჯარის ნაწილში უარის გაცხადებიდან 10 დღის ვადაში. პასუხის შეუტყობინებლობის შემთხვევაში, ჩაითვლება რომ დამკვეთი თანხმობას აცხადებს და გაზრდილი საიჯარო ქირის დარიცხვა განხორციდელბა შეტყობინების მე-5 დღიდან.

5.8. მომსახურების ღირებულების გადახდის ვალდებულება წარმოიშობა ხელშეკრულების საფუძველზე.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. გადახდის ვადის 1 (ერთი) საბანკო დღეზე მეტი ხნით გადაცილების შემთხვევაში, შემსრულებელს უფლება აქვს წარუდგინოს დამკვეთს წერილობითი მოთხოვნა საჯარიმო სანქციის გადახდის შესახებ (პირგასამტეხლო) გადაუხდელი მომსახურების ღირებულების 0,5 %-ის ოდენობით (ნული მთელი, ხუთი მეათედი პროცენტი) ყოველი ვადაგადაცილებული კალენდარული დღისათვის, დაწყებული ვადაგადაცილების მეორე კალენდარული დღიდან.

6.2. ანგარიშ-ფაქტურის დადასტურების 10 (ათი) საბანკო დღეზე მეტი ხნით გადაცილების შემთხვევაში, შემსრულებელს უფლება აქვს წარუდგინოს დამკვეთს წერილობითი მოთხოვნა საჯარიმო სანქციის გადახდის შესახებ (პირგასამტეხლო) დაუდასტურებელი ანგარიშ-ფაქტურის შესაბამისი ღირებულების 0.5 %-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული კალენდარული დღისათვის, დაწყებული ვადაგადაცილების მეთერთმეტე კალენდარული დღიდან.

6.3. დამკვეთის მიერ ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, თუ აღნიშნულს დაეთანხმება შემსრულებელი, იგი ვალდებულია გადაუხადოს შემსრულებელს პირგასამტეხლო მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 10 %-ის ოდენობით.

6.4. წინამდებარე ხელშეკრულებით დადებით მხარეები აცადებენ და ადასტურებენ, რომ პირგასამტეხლოს ოდენობები/განაკვეთები, რომელიც დადგენილია ამ ხელშეკრულების ცალკეული ნაწილებით, გათვალისწინებულია სრულიად გააზრებულად და თითოეული ასეთი განაკვეთის ოდენობის განსაზღვრა ემყარება იმ მნიშვნელობას, რაც აქვს თითოეული მხარისათვის ვალდებულების დროულ და ჯეროვან შესრულებას. ამასთან მხარეები უარს აცხადებენ მოითხოვონ დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობის შემცირება, თუნდაც ის მიჩნეული იქნას შეუსაბამოდ დიდ პირგასამტეხლოდ.

6.5. მოცემული ხელშეკრულებით ყველა საჯარიმო სანქცია შეიძლება გამოყენებულ იქნას მხარეთა შეხედულებისამებრ და ჩაითვალოს სავალდებულო გადასახადად მხარის მიერ შესაბამისი წერილობითი მოთხოვნის წარდგენის მომენტიდან.

7. ფორს-მაჟორული გარემოებები

7.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ვალდებულებების სრული და ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის დროსაც შეუძლებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

7.2. "დაუძლეველი ძალის" ქვეშ იგულისხმება გარემოებები, რომლებიც არ არსებობდნენ წინამდებარე ხელშეკრულების დადების დროს და რომელთა დადგომა და ზემოქმედება მხარეებს არ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ და გადაელახათ, კერძოდ, ძლიერი ქარი (15მ/წმ-ზე მეტი), წყალდიდობა, მიწისძვრა, ომი და საომარი მოქმედებები, სამთავრობო ორგანოების მოქმედება, დაკავშირებული საკანონმდებლო აქტების მიღებასა და ცვლილებებთან, რომლებიც აუარესებენ წინამდებარე ხელშეკრულების სუბიექტების სამართლებრივ სტატუსს და რეჟიმს.

7.3. თუ ნებისმიერი ზემოთხსენებული გარემოება უშუალოდ იმოქმედეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადებზე, მაშინ ეს ვადები ამ გარემოებების მოქმედების დროს თანაბარზომიერად გაიზრდება.

7.4. მხარე, რომლისთვისაც ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო შეუძლებელი გახდა ვალდებულებების შესრულება ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს ხუთი დღისა ამ გარემოებების დადგომიდან და დასრულებიდან, წერილობით აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

7.5. შეუტყობინებლობა და/ან დაგვიანებული შეტყობინების შემთხვევაში იგი კარგავს უფლებას, დაეყრდნოს ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველს.

7.6. შეტყობინებაში მითითებული ფაქტები დადასტურებულ უნდა იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ. დადასტურება არ არის საჭირო, თუ აღნიშნული ფაქტები ცნობილია საზოგადოდ.

7.7. თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს მხარეებმა უნდა მიიღონ გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტისა ან გარემოებებისდა მიუხედავად გაგრძელების შესახებ. თუ მხარეები ვერ მიაღწევენ კომპრომისულ შეთანხმებას, დავას განიხილავს სასამართლო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და შეწყვეტის პირობები

8.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან (წინამდებარე ხელშეკრულების პირველ გვერდზე დასმული თარიღი) და მოქმედებს მხარეთა მიერ ვალდებულებების სრულ შესრულებამდე.

8.2. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

8.2.1. შემსრულებლის მიერ, თუ დამკვეთი არ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

8.2.2. დამკვეთის მიერ, თუ შემსრულებელი სისტემატურად არ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

8.2.3. მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

9. დავის გადაწყვეტის წესი

9.1. წინამდებარე ხელშეკრულებით დაურეგულირებელი საკითხები გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

9.2. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერ დავა უნდა გადაწყდეს ურთიერთმოლაპარაკების გზით, წინააღმდეგ შემთხვევაში დავა განსახილველად გადაეცემა სასამართლოს.

9.3. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე შემსრულებელის სასარგებლოდ გამოტანილი პირველი ინსტანციის სასამართლოს გამოტანილი გადაწყვეტილება მიექცევა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1^1 ნაწილის საფუძველზე.

10. დასკვნითი დებულებანი

10.1. დამკვეთს არ შეუძლია შემსრულებლის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები მესამე პირს.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

10.3. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულების ან/და ნაწილის ბათილობა არ იწვევს ხელშეკრულების სრულ ბათილობას.

10.4. წინამდებარე ხელშეკრულების დანართები წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

10.5. ნებისმიერი შეტყობინება, კორესპონდენცია უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას.

10.6. ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

11. მხარეთა ხელმოწერები

ა(ა)იპ წყალტუბოს მინიციპალიტეტის შპს "ალმა"
ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო
ცენტრი

სალომე ქუთათელაძე
დირექტორი

N(N)LE Tskaltubo Municipality Tourism Development Coordinating Center
Digitally signed by N(N)LE Tskaltubo Municipality Tourism Development Coordinating Center
Date: 2019.12.11 17:41:45 +04'00'

გიორგი ტრაპაიძე
დირექტორი

Giorgi Trapaidze
Digitally signed by Giorgi Trapaidze
Date: 2019.12.11 17:51:48 +04'00'

რთი № 2
წლის 11 დეკემბრის სარეკლამო მომსახურების ხელშეკრულებაზე

ილისი
კემბერი, 2019წ

მომსახურების ტიპი და პერიოდი:	ღირებულება ლარში დღგ-ს ჩათვლით	გადახდის ვადა
განთავსების პერიოდი: 20.12.2019.-31.12.2019.	676,50	15.12.2019.
განთავსების პერიოდი: 01.01.2020.-19.01.2020.	1168,50	
	1845,00	

ა(ა)იპ წყალტუბოს მინიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი

სალომე ქუთათელაძე

დირექტორი

TDC 42127451

შპს "ალმა"

_____

გიორგი ტრაპაიძე
დირექტორი

თი № 1

ლის 11 დეკემბრის სარეკლამო მომსახურების ხელშეკრულებაზე

ლისი

ემბერი 2019 წ.

რეკლამო კონსტრუქციის მდებარეობა, ბი, ნომერი, გვერდების რაოდენობა, ომები და ფართობი	განთავსების პერიოდი (ორივე თარიღის ჩათვლით)	განთავსების თვიური ღირებულება ლარში დღგ-ს ჩათვლით	განთავსების მთლიანი ღირებულება ლარში დღგ-ს ჩათვლით
წყალტუბო, ბილბორდი, რუსთაველის ბა, ცენტრალური პარკის სასვლელთან, 3X6	20.12.2019.-19.01.2020.	1845,00	1845,00

)ის წყალტუბოს მინიციპალიტეტის
რიზმის განვითარების საკოორდინაციო
ნტრი

ლომე ქუთათელაძე
რექტორი

შპს "ალმა"

_____

გიორგი ტრაპაიძე
დირექტორი